ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ №19

თბილისი „15“ ოქტომბერი 2020 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ,

1. სსიპ ქალაქ თბილისის №165 საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის მ/შ მაია ჯაბაურის სახით;

2. სსიპ მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის №41 საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის მ/შ რევაზ ჯავახიშვილის სახით

3. და შპს „ეი ბი სი კონსალტინგი” შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის ედუარდ აბაიაძის სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“)ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა)პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის საბუღალტრო, ფისკალური და აუდიტორიული მომსახურეობის გამარტივებული შესყიდვა(cpvკოდი:79200000)შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული მომსახურება 250.00(ორასორმოცდაათი) ლარად. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).(აქედან სამუშაოს ღირებულების 50% იხდის სსიპ-ქალაქ თბილისის №165 საჯარო სკოლა, 50% სსიპ-მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის №41 საჯარო სკოლა)

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

ქ. თბილისის სსიპ მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის №41 საჯარო სკოლის შენობაში დროებით სარგებლობაში აღებულ ფართებში გათბობის, ელექტროენერგიის და სასმელი წყლის ხარჯების სავარაუდო თვიური კომუნალური გადასახადების განსაზღვრა(cpv კოდი: 79221000) გადასახადებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება, ერთჯერადათ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2020 წლის „23“ ოქტომბრის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. თბილისი, ქუჩა ფალიაშვილი №57

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2.მიწოდებულ მომსახურებაზე ანაზღაურება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი“ არაუგვიანეს 6 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს“ მიწოდებული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1.უზრუნველყოს შესყიდული მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2.გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1.უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადეკვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 საბანკო დღისა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი
9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ ქალაქ თბილისის №165 საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ანზორ ტაბიძე და სსიპ მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის №41 საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი რამაზ წიკლაური.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური შტამბით დადასტურებიდან.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე.

„შემსყიდველი“

სსიპ ქალაქ თბილისის
№165 საჯარო სკოლა
თბილისი,ზ.ფალიაშვილის ქ. N57
ს/ს „ლიბერთი ბანკი“
ბ/კ: LBRTGE22
ა/ა: GE57LB0121192724183000
ს/კ: 204859974

სკოლის დირექტორის მ/შ
მაია ჯაბაური

_____

„შემსყიდველი“

სსიპ მიხეილ გრუშევსკის სახელობის
ქალაქ თბილისის სკოლა
თბილისი,ზ.ფალიაშვილის ქ. N34
ს/ს „ლიბერთი ბანკი“ “
ბ/კ: LBRTGE22
ა/ა: GE48LB0121114661424001
ს/კ: 202065969

სკოლის დირექტორის მ/შ
რევაზ ჯავახიშვილი

_____

„მიმწოდებელი“

შპს „ეი ბი სი კონსალტინგი”
თბილისი, ქ.წამებულის გამზ. №91
სს „თიბისი ბანკი“
ბ/კ: TBCBGE 22
ა/ა: GE27TB7395636080100004
ს/კ: 406136257

დირექტორი
ედუარდ აბაიაძე

_____